ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2171081

ნომერი: AR1336462

თარიღი : 31.08.2015

გაცემის თარიღი : 04.09.2015

გაცნობის თარიღი : 07.09.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ.წამებული , /ბოჭორმის ქ. N50/18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა მაზანაშვილი პ/ნ 01029001774
- თბილისი ოცხელების ქ. N 25ა ბ. 54

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება , რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი ისანი ქ გამზირი ქ.წამებული , /ბოჭორმის ქ. N50/18 -ში არსებული კორპუსის საკადასტრო საზღვრებში შლაგბაუმის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს #1429635 01.07. 2015 წლის წერილის თანახმად (იხილეთ დანართი), მრავალბინიანი შენობა–ნაგებობების ეზოებში შლაგბაუმების მოწყობა საქართველოს მოქმედი „სახანძრო უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნების შესაბამისად ყოვლად დაუშვებელია, რაც დააბრკოლებს სახანძრო–სამაშველო ტექნიკის მანევრირებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge